ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–76

ქ. თბილისი; 29 დეკემბერი 2020 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი – **გიგა გიგაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი – **მარიამ ჩივაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი – **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100 %–იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს წარმომადგენელი – **დავით ჩანქსელიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი – **ცირა შალოშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. ფრაქციის "ქართული ოცნება-კონსერვატორები" თავმჯდომარის და აღნიშნული ფრაქციის წევრის დავით უთმელიძის განცხადებებთან დაკავშირებული საკითხი;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე საკითხი;
7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების თაობაზე საკითხი;
8. „ქალაქ თბილისში, დაბა კორჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
9. “ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.004.01.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
10. “ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. "ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, (ნაკვ.024/008)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა, N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში (საკადასტრო კოდი:N01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე საკითხი;

15. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N61-88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი;

16. ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.72.14.034.711; ს/კ: 01.72.14.034.238; ს/კ: 01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ. მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის" (ს/კ: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ საკითხი;

17. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

18. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი;

19. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

20. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. წლის შემაჯამებელ პოზიციათა დაფიქსირების შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის „ქართული ოცნება – კონსერვატორები" და აღნიშნული ფრაქციის წევრის – დავით ურთმელიძის განცხადებები.

კომისიის თავმჯდომარემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ზემომითითებული განცხადებებით წარმოდგენილი საკითხები, ამასთან, ყურადღება გაამახვილა მათ სამართლებრივ მოწესრიგებასთან დაკავშირებით:

- ფრაქციის „ქართული ოცნება – კონსერვატორები" თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება საკრებულოს დამოუკიდებელი წევრის – ვახტანგ შაქარიშვილის აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ;
- საკრებულოს წევრის დავით ურთმელიძის მიერ წარდგენილი განცხადებით, მან სურვილი გამოთქვა ფრაქციის დატოვების შესახებ;
- წარდგენილი განცხადება ასევე ითვალისწინებს, ფრაქციისათვის „ქართული ოცნება – კონსერვატორები" სახელის ნაცვლად, ფრაქცია „კონსერვატორები" და დამოუკიდებელი წევრი"– სახელის მინიჭებას;

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 38–ე მუხლის მე–4 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წესდებით.

მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახილა, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს **რეგლამენტის 37–ე მუხლის პირველი და მე–4 პუნქტებით განსაზღვრულ ჩანაწერებზე:**

- **პირველი პუნქტის თანახმად,** ფრაქციის თავმჯდომარის, **ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების** და მდივნის **არჩევის,** გადაყენების, გადადგომის, აგრეთვე **ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში შესწორებათა შეტანის შესახებ** სამი დღის ვადაში წერილობით ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარესა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.
- **მე–4 პუნქტის თანახმად,** საკრებულოს **წევრს უფლება აქვს ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან,** რის შესახებაც სამი დღის ვადაში წერილობით ატყობინებს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, რომელიც აღნიშნულ ფაქტს უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები დაცულია და კომისიამ განცხადებებით წარმოდგენილი საკითხები მიიღო ცნობის სახით.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10–26 დადგენილებაში ცვლილებაში შეტანას, რითაც ხორციელდება, ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის რაოდენობის ზრდა თითოეული ერთეულით, იმ სამართლებრივის საფუძვლის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოში 2020 წლის 9 ნოემბერს შეიქმნა ფრაქცია „თბილისი", რომელსაც ჰყავს ფრაქციის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე.

ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შეახსენა ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის 2–1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 33–ე მუხლის მე–7 პუნქტით განსაზღვრული საკითხი, რაც გულისხმობს შემდეგს: „საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან", აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილების მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 9 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ,** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი გულისხმობს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების ახალი წესის დამტკიცებას, ხოლო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-11 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

მომხსენებლის მითითებით, პროექტის შემუშავება განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების მიერ ახალ საბიუჯეტო წელს ბენეფიციართათვის საცხოვრებელი ბინით ქირის უზრუნველყოფის კომპენსაციის გაცემის საჭიროებამ, ამასთან, **დეტალურად ისაუბრა** პროექტის სახით, დასამტკიცებლად წარმოდგენილი წესით გათვალისწინებულ ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მას განასხვავებს დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებული წესისაგან, კერძოდ:

- **იცვლება წესის სათაური,** რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებასთან.
- წარმოდგენილი **წესის მე-6 მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით,** კომპენსაციის მიმღები პირების სიის შემოწმება და საჭიროების კორექტირების შემთხვევაში, მისი დაკორექტირება და ახალი სიის დამტკიცება საბჭოს მიერ ხორციელდება მომდევნო წლის იანვრის თვეში. ვინაიდან არსებული რედაქციით საბჭოს უწევს კომპენსაციის მიმღები პირების სიის დამტკიცება როგორც მიმდინარე საბიუჯეტო წლის ბოლოს;
- **ასევე მე-11 მუხლიდან გამომდინარე,** ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისშიც, წარმოდგენილი ცვლილება ახლებურად მოაწესრიგებს საკითხს და სიის დამტკიცება მოხდება ახალი საბიუჯეტო წლის იანვრის თვეში, დამტკიცებული ბიუჯეტისა და ამავე ბიუჯეტით განსაზღვრული ქვეპროგრამის საფუძველზე.
- **ახლებურად ყალიბდება წესის მე-10 მუხლი** და მოქმედი წესისგან განსხვავებით, ამოღებული იქნება პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი, ვინაიდან პრაქტიკაში კომპენსაციის გაცემის ხანგრძლივობა მიეთითება ქირის დანიშვნის ბრძანებაში და შესაბამისად, ბრძანებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ კომპენსაციის შეწყვეტის თაობაზე ხელახალი მსჯელობის საჭიროება არ დგას. აღნიშნული გარემოება პრაქტიკაში უკვე

დამკვიდრებულია და საჭიროებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ სამართლებრივ აქტში ხარვეზის გასწორებას.

- წესის **მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განიცდის ცვლილებას,** რის მიხედვითაც, კომპენსაციის მიმღებ პირებს, რომლებსაც 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე) უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია, 2021 წლის იანვარში დამტკიცებული სიის მიხედვით, გაუგრძელდებათ კომპენსაციის გაცემა არაუმეტეს 2021 წლის ბოლომდე.

მოხსენების მიწურულს, ლევან ჟორჟოლიანმა დაამატა, რომ პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად მიუთითა – **2021 წლის პირველი იანვარი.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველი მუხლის თანახმად დასამტკიცებელი **წესის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტიდან „ე" ქვეპუნქტის ამოღება განხორციელდეს,** არა „ე" ქვეპუნქტის წესში დატოვებისა და მის გასწვრივ სიტყვა „ამოღებულია"-ს მითითებით, არამედ განხორციელდეს წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტიდან „ე" ქვეპუნქტის შინაარსობრივი ნაწილის ამოღება და კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლების შესაბამისი თანმიმდევრობით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის** კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს შესთავაზა, ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ წარმოდგენილი, კომისიის სხდომის დღის წესრიგით მე–4 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტის გადადების საკითხზე მსჯელობა, პროექტით დასამტკიცებელი საკითხის დედაქალაქისათვის მნიშვნელობის ხარისხის გათვალისწინებითა და გარკვეული დეტალური/შინაარსობრივი საკითხების უფრო მეტად დაზუსტების მიზნით. ამასთან, მიუთითა, რომ საკითხთან დაკავშირებით გარემოს დაცვის კომისიასაც გააჩნია შესაბამისი ხასიათის კითხვები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგით მე-4 საკითხის გადადებას.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100 %იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული **შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დროებითი დარიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულია დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (დანართი N2), რომლითაც განსაზღვრულია ცხრილის სახით მოსაკრებლის გადამხდელები, ზომის ერთეული, ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ3 და მოსაკრებლის ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე. აღნიშნულ დანართში(ცხრილში) N21-ე არის **რესტორნები, პიცერიები, სასადილოები,** /გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა/ კაფეები და ბარები, რომელთაც მოსაკრებელი ერიცხებათ ერთ დასაჯდომ ადგილზე, ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ3 – 2,4 და მოსაკრებლის ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე - 3ლ.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისთვის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული იზოლაციისა და კარანტინის წესების, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის

შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სამართავად შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 23 მაისს მიღებულ იქნა დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ და ამ დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-6 მუხლის 4[1] პუნქტით ეკონომიკური საქმიანობა ეზღუდება კვების ობიექტებს/რესტორნებს/ბარებს/კაფეების ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ მიტანის მომსახურებითა და პროდუქტის გატანით, ხოლო, გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობის დადგენილებით დაწესებული შეზღუდვებით ადგილზე მომსახურება (ადგილზე კვება) არ მიმდინარეობს, სამუშაო სივრცეებში დასაჯდომი ადგილები მთლიანად უფუნქციოა და „ონლაინ“ რეჟიმში სამუშაოდ გამოიყენება მხოლოდ სამზარეულოები, სადაც მზადდება წინასწარ შეკვეთილი პროდუქცია, რომელიც გადის ობიექტიდან.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემომითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სახით, **მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, კვების ობიექტების მიმართ განხორციელდეს გარკვეული შეღავათები და საკრებულოს დადგენილების დანართი N2-ში, N21-ე კვების ობიექტებს შეუწყდეთ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა დასაჯდომი ადგილების მიხედვით და დარიცხვა განხორციელდეს N23-ე კვების ობიექტების მსგავსად,** დასაჯდომი ადგილების გარეშე, სატარიფო განაკვეთით 0.32ლ. სამუშაო ფართის 1მ^2-ზე, **2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში.**

საკითხის წარმომდგენის მითითებით, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, რომ პირებს, რომელთაც დასუფთავების მოსაკრებელი გადაიხადეს საშეღავათო ტარიფის ამოქმედებამდე, ზედმეტად გადახდილი თანხა აესახებათ სააბონენტო ბარათზე (რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას), და რომელიც ჩაითვლება 2021 წლის 31 იანვრის შემდგომ დარიცხული მიმდინარე დავალიანების დასაფარად, ხოლო, **პროექტის მე-3 მუხლი დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელებს აძლევს შესაძლებლობას** უარი განაცხადონ შეღავათზე, მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურთან ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან განაცხადის შეტანის გზით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების მიღება გავლენას იქონიებს ბიუჯეტის შემოსავალებზე, კერძოდ კვების ობიექტების მიმართ შემოღებული დროებით დაწესებული შეღავათებით შემცირდება დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობების ფარგლებში, დაახლოებით თანხა ჯამში იქნება 330 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიია თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლის, სტილისტური და შინაარსობრივი თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100 %იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული **შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

საკითხის წარმომდგენმა **კომისიის წევრებს დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირების და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზების განმახორციელებელი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის – შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს მიერ გახორციელებულ/განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას; წარმოქმნილი მყარი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებას; ნარჩენების გაუვნებლობასა და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრა;
- დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზებას; მონაცემთა ბაზების დროულ განახლება; დარიცხული მოსაკრებლის კორექტირებას და მონაცემთა ბაზაში აღრიცხვა;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-46** დადგენილების ამოქმედების დღიდან, დადგენილი წესით, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების განწილვადება;

- დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისის მოსახლეობისათვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების განწილვადება არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.
- დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების თანხაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის უზუსტობის შემთხვევაში დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრა შესაბამისი სუბიექტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დავით ჩანქსელიანმა დასასრულს აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის თანახმად, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდება შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს ანგარიშზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" და „ზ" ქვეპუნქტების მითითება, პროექტის პირველ პუნქტში ორგანიზაციის სრული სამართლებრივი დასახელებით მითითება, ამავე პუნქტის „გ" ქვეპუნქტში N17-46 დადგენილების სათაურის სწორი ფორმით მითითება, ასევე, წარმოდგენილი პროექტის განკარგულების ფორმით დამტკიცება და შესაბამისად, პროექტის დასახელების ცვლილება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილების თაობაზე საკითხი.

მომხსენებელმა, ისაუბრა პროექტთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ და აღნიშნა, რომ კომპანია "პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენსმა" განცხადებით, მასსა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შორის 2014 წლის 25 დეკემბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, კომპანიამ შეიძინა გარდაბანში, სოფელ თელეთში მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3311127.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით - 78.00კვ.მ, ხსენებულ მიწის ნაკვეთზე კომპანია აშენებს მაღალი სტანდარტის საცხოვრებელ კომპლექსსა და სარეკრეაციო ტერიტორიას. ამჟამად მიწაზე ფუნქციონირებს გოლფის მოედანი, სადაც თავისუფლად არის შესაძლებელი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა.

მომხსენებლის მითითებით, კომპანია მიზნად ისახავდა პრემიუმ კალსის დასახლების ქალაქ გარეთ მშენებლობას, ვინაიდან,მსგავსი პროექტის განხორციელება დედაქალაქის ფარგლებში შეუძლებელია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით მკაცრად გათვალისწინებული განვითარების შესაძლებლობებით, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისასა, კომპანიას სურდა ქალაქგარეთ არსებული უძრავი ქონების შეძენით წვლილი შეეტანა გარდაბნის მუნიციპალიტეტის განვითარებაში, ადგილობრივად, სამუშაო ადგილების შექმნაში, ამასთან, ხელშეკრულებითვე ცალსახად იყო გათვალისწინებული რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობდა გარდანის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთში.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 20 დეკემბრის **№4173** დადგენილების მიხედვით უძრავი ქონება ნაწილობრივ მოქცეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული, მათ შორის მშენებელობის მოპოვებისა და მიწის გადასახადის ადმინისტრირების კუთხით, შესაბამისად, კომპანია წერილობითი განცხადებებით, ითხოვდა, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების იმგვარი კორექტირება, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონება მთლიანად მოქცეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საზღვრებში.

საკითხის წარმომდგენმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ დეტალზე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების პირველი მუხლით უძრავი ქონება განსაზღვრული იყო შემდეგი სახით: სოფელ თელეთში მდებარე 3311127.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 ფართით - 78.00კვ.მ (ს/კ 81.03.12.065), **მომხსენებელმა, ასევე ისაუბრა შემდეგ გარემოებებზე:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ადმინისტრაციული საზღვრების კორექტირების წინააღმდეგი არ არის;
- სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში კომპანიის მიერ წარდგენილ იქნა შესაბამისი განცხადება და მასზე თანდართული **კორექტირებული ელექტრონული რუკა,** რომლის

თანახმადაც დაკორექტირდა მონაცემები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის შესაცვლელი ფართი შეადგენს **2,341,500 კვ.მ-ს.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მ/წლის 17 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან ადგილზე გაიმართა კონსულტაცია, რომლის ფარგლებშიც მათ საკითხთან დაკავშირებით მიეწოდათ ინფორმაცია, ამასთან, წარმოდგენილ შეხვედრაზე ადგილობრივ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების მხრიდან საკითხთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა უარყოფითი პოზიცია.

ასევე კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გატარდა კანონით დაცული პროცედურები. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების პროექტი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" მე-12 მუხლის შესაბამისად გამოქვეყნდა, ქ. თბილიის მუნიიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე - http://tbsakrebulo.gov.ge/ მ/წლის 12 ნოემბერს და დაინტერესებულ პირებს მიეცათ საშუალება საკუთარი მოსაზრება წარმოედგინათ ამავე წლის 14 დეკემბრამდე. დაინტერესებულ პირთა მხრიდან უარყოფითი მოსაზრება საზღვრის ცვლილებასთან დაკავშირებით არ წარმოდგენილა.

კომისიის თამჯდომარემ ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტის საზღვრის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–11 მუხლით განსაზღვრულ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით. ლევანმა ასევე აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნას, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის მიზნით, თან დართვება ქალაქ თბილისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების თაობაზე ერთობლივი შუამდგომლობისა და დასაბუთების პროექტი და ქალაქ თბილისის და გარდაბნის მუნიციპალიტეტების მიერ მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციების ამსახველი დოკუმენტაცია.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად გადაწვიტეს, რომ საკითხის მიმდინარეობისა და მომზადების პროცესში სრულად იქნა

დაცული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილების თაობაზე ერთობლივ შუამდგომლობაზე, შემდგომში საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიისთვის მიმართვის მიზნით.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დაბა კორჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დაბა კორჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში მდებარე, ბინა N9 76.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად მოქალაქე ნინო ალთუნაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ირაკლიმ, კომიისიის წევრება დეტალურად მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ:

- სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსა და მთაწმინის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნინო ალთუნაშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, **დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა, N37-ში** მდებარე, მისფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ბინა N9 76.00 კვ.მ.საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობამ, შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს;

- დაინტერესებული პირის, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, ამასთან, მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ადასტურებენ, რომ ნინო ალთუნაშვილი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 2011 წლიდან დღემდე.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილების საფუძველზე, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

ირაკლი თავართქილაძემ მოხსენების მიწურულს აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ამავე პუნქტში არსებული ხარვეზის გამოსწორება, ხოლო, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.004.01.035) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV, კვარტალი I, კორპუსი N21-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე თამარი ლეკიაშვილისათვის 24 (ოცდაოთხი) წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების

პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ და მიუთითა, შემდეგი:

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე თამარი ლეკიაშვილმა და ითხოვა, წლების მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე, ქალაქი თბილის, ვაზისუბნის მე–4 მ/რ, პირველი კვარტალი, კორპუსი N21, მე–9 სართული, ბინა N35, 86.82 კვ.მ, ფართის სიმბბოლურ ფასად პროვატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა. აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, გამგეობამ შუმდგომლობის წერილით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, სადაც გამგეობა მიუთითებს, რომ არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს შესაბამის პროცედურები აღნიშნული უძრავი ქონების მოქალაქის საკუთრებაშისიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით.
- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მიუთითებულია, რომ დაინტერესებული პირი ოჯახთან ერთად 1996 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ამასთან, მეზობლები, ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ თამარი ლეკიაშვილის ოჯახთან ერთად 1996 წლიდან დღემდე ცხოვრების ფაქტს;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით თამარი ლეკიაშვილის, მარიამი ფროდიაშვილის და ნატალია ქისიშვილის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო იოსები ფროდიაშვილის სახელზე გურჯაანის რაიონში სოფელ კაჭრეთსა და სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;

მოხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ, აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ამავე პუნქტში არსებული ხარვეზის გამოსწორება, ხოლო, პროექტის მე–2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,"ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.501)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში, პირველ სართულზე, მდებარე **93.97კვ.მ** ფართობის უძრავი ქონების მოქალაქე **ნინო მესხისთვის** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

სააგენტოს უფროსმა კომისიის წევრებს მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნინო მესხმა და ითხოვა, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილის N24-ში, პირველ სართულზე, მდებარე **93.97კვ.მ**, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა;
- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველო შესაბამისი დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ დაინტერესებული პირი 1993 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე ოჯახის წევრებთან ერთად. ამასთან, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, რომ მოქალაქე 1994 წლიდან დღემდე ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მოქალაქისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ამავე პუნქტში არსებული ხარვეზის გამოსწორება, ხოლო, პროექტის მე–2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, (ნაკვ.024/008)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.024.008.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, (ნაკვ.024/008)-ში, პირველ სართულზე მდებარე 111.12 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ინგა ბანცაძისთვის გადაცემის თაობაზე საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას. **მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:**

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ინგა ბანცაძემ და ითხოვა ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი N107ა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, პირველ სართულზე მდებარე 111.12კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, ისნის რაიონის გამგეობამ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ინგა ბანცაძისთვის მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა.
- **დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველო, გაცემული დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ ინგა ბანცაძე ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქალაქ თბილისში,ყვარელის ქუჩა N107ა-ში,15 წელია. ამასთან, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ აღნიშნული პირის მიერ უძრავ ქონებაში 2008 წლიდან ცხოვრების ფაქტს;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, **ინგა ბანცაძისა** და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ამავე პუნქტში არსებული ხარვეზის გამოსწორება, ხოლო, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,"ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა, N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა № 8-ში, მე-2 სართულზე, ბინა № 3-ში მდებარე 37.16 კვ. მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე მარინე აფციაურისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, ირაკლი თავართქილაძემ, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- მოქალაქე მარინე აფციაურმა განცხადებით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას მის მიერ დაკავებული ფართის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით; აღნიშნული

მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობამ შუამდგომლობის წერილით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს;

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველო, გაცემული დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ მარინე აფციაური დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს ზემომითითებულ მისამართზე, ამასთან, მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, 2000 წლიდან მარინე აფციაურის ცხოვრების ფაქტს.

მოხსენების მიწურულს ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე მარინე აფციაურისთვის სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის საკითხის და მასთან დასადები ხელშეკრულების პროექტის, ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ამავე პუნქტში არსებული ხარვეზების გამოსწორება, ხოლო, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს,ქალაქ თბილისში, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში მდებარე უძრავი ქონების, დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ირაკლი თავართქილაძემ კომისიის წევრებს მიაწოდა საკითხთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა შემდეგმა მოქალაქეებმა და ითხოვეს, მათი და მათი მარწმუნებლების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემა. ნოე გაგუამ, ტრისტან მანველიშვილმა, მირზა ბაღაშვილმა, ლევან ბაღაშვილის წარმომადგენელმა ნათია გუმბერიძემ, ნანა გრიგალაშვილმა, ნუკრი ჩინჩალაძემ, ნინო ბაბუნაშვილმა, ნათია გუმბერიძემ, ლელა მიქავას წარმომადგენელმა ,ილია გურჯიძემ და მადონა უსენაშვილმა, აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 482.06კვ.მ უძრავი ქონება.

- **დაინტერესებულ პირთა უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს,** მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, სადაც მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული პირები ნამდვილად ცხოვრობენ 2005-2006 წლებიდან მისამართზე: ქ. თბილისი, ს/ქ N43, ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოსმიერ გაცემული დოკუმენტის თანახმად, ზემომითითებული პირები 2005 წლიდან დღემდე ცხოვრებენ უძრავ ქონებაში;

- მოქალაქეები **ნათია გუმბერიძის, ნანა გრიგალაშვილისა და ნინო ბაბუნაშვილის** მიერ წარმოდგენილია 2009 წლის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური საბინაო კომისიის გადაწყვეტილებით საბინაო ფონდიდან სამხედრო მოსამსახურეზე განაწილებული საცხოვრებელი ფართის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საცხოვრებელი ფონდიდან სამხედრო მოსამსახურეებს დროებით სარგებლობაში გადაუნაწილდათ საცხოვრებელი ფართი ქ. თბილისი ს/ქ 43, მე-5 შესახვევი, კორპუსი N120-ში.
- ამასთან, წარმოდგენილია ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რის თანახმადაც ზემოთ აღნიშნულ პირებს და მათი ოჯახის წევრებს არ ექნებათ არანაირი პრეტენზია და მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, აღნიშნული უძრავი ქონების მათთვის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში.
- ისნის რაიონის გამგეობა შუამდგომლობის წერილით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, ზემომითითებულ პირთათვის მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მითითებული პირების ნაწილს გააჩნიათ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებზე განაწილებული საცხოვრებელი ფართების მიღება-ჩაბარების აქტები. ნაწილი ოჯახების რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველ ოჯახების ერთიან ბაზაში და ასევე, კომუნალურ ქვითრებში რეგისტრირებული არიან აბონენტებად.

▪ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში **რეგისტრირებული არ არის.**

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ამავე პუნქტში არსებული ხარვეზის გამოსწორება, ხოლო, პროექტის მე–2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა. ამასთან, კომისიის თავმჯდომარე მომხსენებელს მიმართა თხოვნით უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული კონკრეტული პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მიწოდებისა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადაცემული, უძრავი ქონების (ჯიხურის განთავსების მიზნით) მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის -„COVID 19"-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით, პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით და იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება – უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და

ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება და სიტუაციის მართვა, 2020 წლის 21 მარტს გამოცემულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი №1„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ", რომლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული რიგი უფლებები. დეკრეტის საფუძველზე, გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ", დეკრეტის გაუქმების შემდგომ კი - „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა კერძო საკუთრებასა და სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ რეგულაციები, ცალკეული ობიექტების ვალდებულებები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, გარკვეული დაშვებები და მთელი რიგი შეზღუდვები.

ირაკლი თავართქილაძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის გაგრძელების მოთხოვნით განაცხადი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს ვადის გასვლამდე. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა". აღნიშნული რეგულაციის გათვალისწინებით, საზოგადოებრივ ტერიტორიაზე, დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება შესაძლებელი იყო მაქსიმუმ 1 წლის ვადით. ამ ვადის გასვლამდე კი შესაბამისი სუბიექტი ვალდებული იყო თავიდან მიემართა მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურისთვის, შეტყობინების განხორციელების გზით და მიეღო შენობა-ნაგებობის განთავსების უფლება ისევ არაუმეტეს 1 წლის ვადით.

მომხენებელმა აგრეთვე, განმარტა, შემდეგი: აღნიშნული რეგულაციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პრაქტიკული სირთულეების, ასევე, ბოლო დროს პანდემიიდან გამოწვეული კრიზისის გამო, რიგ შემთხვევებში, შესაბამისი პირების, დროებითი შენობა-ნაგებობის - ჯიხურების განთავსების უფლების მქონე სუბიექტებმა აღნიშნული ვადა გაუშვეს და ერთწლიანი ვადის გასვლამდე, ვერ განახორციელეს შესაბამისი შეტყობინება. ამასთან, აღნიშნულ პირებს არ შეუწყვეტიათ ჯიხურების გამოყენება და გააგრძელეს იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი ფლობა. **ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია,** რომ ამ პირებს მიეცეთ საშუალება, მიუხედავად ჯიხურების გამოყენების ვადის

გასვლისა, მიმართონ მუნიციპალიტეტს და ჯიხურის გამოყენების 1 წლიანი მაქსიმალური ვადა გაიხანგრძლივონ არაუმეტეს კიდევ ერთი წლისა, ისე რომ მთელი ეს პერიოდი ჩაითვალოს ჯიხურის გამოყენების მაქსიმალურ ვადად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის N756 დადგენილების შესაბამისად, N255 დადგენილებას დაემატა 37-ე მუხლი - „საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობა-ნაგებობის - ჯიხურის გამოყენებასთან დაკავშირებული დროებითი ღონისძიება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე" - რომლის თანახმადაც, „პირი, რომელმაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განათავსა დროებითი შენობა-ნაგებობა - ჯიხური და მისი გამოყენების ვადა გასულია ან გადის 2021 წლის 1 ივლისამდე, ჯიხურის გამოყენების ვადა გაუხანგრძლივდეთ ამავე თარიღამდე. ასეთ შემთხვევაში, ჯიხურის გამოყენებიდან ჯიხურის გამოყენების გახანგრძლივებამდე პერიოდი ჩაითვლება ჯიხურის გამოყენების მაქსიმალურ ვადად. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუ ჯიხური ისევ არის განთავსებული ჯიხურის გამოყენების ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებულ ადგილას და პირი ისევ აგრძელებს ამ ჯიხურის გამოყენებას".

ირაკლი თავართქილაძემ მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შესაბამის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს შორის, წლების განმავლობაში ფორმდებოდა და ფორმდება სარგებლობის/იჯარის ხელშეკრულებები, დროებითი შენობა-ნაგებობების - ჯიხურების განთავსების მიზნობრიობით. პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით დაწესებული რეგულაციები/შეზღუდვები და შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობა განსაკუთრებით უარყოფითად აისახა და გავრცელდა სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ მოქალაქეებსა თუ იურიდიულ პირებზე და მათ ზოგად ეკონომიკურ ფონზე. მათ შეეზღუდათ სამეწარმეო საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობა, რაც დაკავშირებულია მათი ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებასთან.

მოხსენების დასკვნით დაწილში, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის თანახმად, იმ მოიჯარეთა მიმართ, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯიხურის განთავსების მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების იჯარის ხელშეკრულების ვადა ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის გასულია (მათ შორის, ხელშეკრულება შეწყვეტილია), თუმცა მოიჯარე ფაქტობრივად სარგებლობს მიწის ნაკვეთით (მასზე განთავსებული აქვს ჯიხური) და მიწის ნაკვეთი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირზე არ არის რაიმე ფორმით განკარგული, იჯარის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე იჯარის ვადა მიჩნეულ იქნება გაგრძელებულად და ამ პერიოდზე ფაქტობრივი სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირა განისაზღვრება 0 (ნული) ლარის ოდენობით. ასეთ მოიჯარეებს იჯარის ვადის ამოწურვის თარიღიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივი სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადაუხდებლობის გამო **არ დაეკისრებათ პირგასამტეხლო.**

მომხსენებელმა ასევე, ისაუბრა, განკარგულებით გათვალისწინებულ საკითხზე და აღნიშნა, რომ მოიჯარეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში, შესაბამის მიწის ნაკვეთზე ჯიხურის განთავსების მიზნით იჯარის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს 2021 წლის 1 ივლისამდე, უცვლელად - შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების პირობებით, რაც მოიცავს, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის პირობას. ამასთან, მიწის ნაკვეთით ფაქტობრივი სარგებლობისთვის გადახდილი საიჯარო ქირა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არცერთ შემთხვევაში არ ექვემდებარება ჩათვლას ან/და დაბრუნებას. აღნიშნული ღონისძიება (იჯარის ვადის 1 ივლისამდე გაგრძელება) გავრცელდება მხოლოდ იმ მოიჯარეთა მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ განკარგულებით დადგენილ კრიტერიუმებს და გამოხატავენ ნებას არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე იჯარის უფლების იმავე პირობებით გაგრძელების თაობაზე, არაუგვიანეს 2021 წლის 28 თებერვლისა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით. მოიჯარის განცხადებას თან უნდა დაერთოს მომართვის დროისათვის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის (განთავსებული ჯიხურის) დამადასტურებელი ფოტომასალა.

მოხსენების დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ წარმოდგენილი განკარგულების თანახმად, იმ მოიჯარეთა მიმართ, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჯიხურის განთავსების მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 1 ივლისამდე, მოიჯარეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში, იჯარის ვადა გაგრძელდეს 2021 წლის 1 ივლისამდე, უცვლელად - შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების პირობებით, რაც მოიცავს, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის პირობას. აღნიშნული ღონისძიება გავრცელდება მხოლოდ იმ მოიჯარეთა მიმართ, რომელიც აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს და გამოხატავენ ნებას არაუმეტეს 2021 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე იჯარის უფლების იმავე პირობებით გაგრძელების თაობაზე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვისა, თუმცა ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთვის შესაბამისი განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი,

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N61-88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივლისის N61-88 დადგენილებაში **და დადგენილების მე-3 მუხლს გამონაკლისის სახით ემატება - შპს „საქართველოს ფოსტის“ ჯიხურები.**

ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა დადგენილების პროექტთან დაკავშირებული წინაპირობების შესახებ და მიუთითა შემდეგი:

- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და შპს „საქართველოს ფოსტის“ შესაბამისი წერილებით ირკვევა, რომ შპს „საქართველოს ფოსტა" არის საფოსტო ოპერატორი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლის უზრუნველყოფა უნივერსალური საფოსტო მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით. მომხმარებლებისთვის საფოსტო მომსახურების ხელმისაწვდომობის ვალდებულება საქართველოს აქვს აღებული არაერთი საერთაშორისო აქტით. საქართველო არის მსოფლიო საფოსტო კონვენციის წევრი ქვეყანა.
- **კონვენციის 3.1 მუხლი პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ მოხდეს მომხმარებლის უზრუნველყოფა უწყვეტი და ხელმისაწვდომი საფოსტო მომსახურებით.**
- ამასთან, 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. შეთანხმების მე-4 კარის, 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტში განმარტებულია **უნივერსალური საფოსტო მომსახურება,** რაც **გულისხმობს განსაზღვრული ხარისხის საფოსტო მომსახურების მუდმივ უზრუნველყოფას ტერიტორიის ყველა პუნქტის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად.** შესაბამისად, საფოსტო მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა მომხმარებლისთვის, მათი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით.
- **სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებას, უზრუნველყოს მოქალაქეები უნივერსალური საფოსტო მომსახურებით, ასრულებს საქართველოს ფოსტა, იგი არის**

საერთაშორისო საფოსტო კავშირი PostEurope-ის წევრი. მრავალი ძირეული რეფორმის გატარების (როგორც საოპერაციო, ასევე სერვისების განვითარების მიმართულებით) შედეგად საქართველო პირველად გახდა მსოფლიო საფოსტო კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს CA-ს და საფოსტო ოპერაციების საბჭოს POC-ს წევრი, ასევე მსოფლიო საფოსტო კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს CA-ს თავმჯდომარის მოადგილე ქვეყანა. მოცემულ ეტაპზე, საქართველოს ფოსტა მსოფლიოს 191 ქვეყანასთან თანამშრომლობს წარმატებით.

ირაკლი თავართქილაძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოს ფოსტა 82 სერვის-ცენტრით არის წარმოდგენილი მთელი ქვეყნის მასშტაბით, კომპანიაში დასაქმებულია 2800-მდე მაღალკვალიფიციური კადრი. სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესასრულებლად, საქართველოს ფოსტას სერვის-ცენტრები აქვს ისეთ ტერიტორიულ ერთეულებშიც, სადაც გზავნილების/ამანათების რაოდენობის გათვალისწინებით, სერვის-ცენტრის ფუნქციონირება არ არის ეკონომიკურად მიზანშეწონილი. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესასრულებლად, კომპანიას უწევს ბიზნესის მხრივ არარენტაბელური სერვის-ცენტრების შენახვა. შესაბამისად, საქართველოსფოსტას ძირითადი ფუნქციების ეფექტურად შესრულებისათვის, ესაჭიროება დამატებითი შემოსავალი ბიზნეს-საქმიანობიდან.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ფოსტას რამდენიმე ჯიხურის ჭავჭავაძის გამზირზე განთავსების მიუხედავად, აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, სავაჭრო ობიექტები არ იქნა მიჩნეული გამზირის თანამედროვე იერსახესთან შესაბამის ობიექტებად და თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის გათვალისწინებით, მოხდა მათი გადატანა სხვა ტერიტორიებზე, ცენტრალური გამზირიდან ჯიხურების გადატანით კი, საქართველოს ფოსტამ დაკარგა შემოსავლის ნაწილი.

ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებელი სახით მიუთითა, რომ **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, საქართველოს ფოსტისათვის ბიზნესსაქმიანობაში ხელშეწყობას და მისთვის, ჯიხურების ნებისმიერ ადგილას განთავსების შესაძლებლობის** მიცემას, ხოლო, პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტის მიმართ არსებულ შემდეგ შენიშვნებზე:

- მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის პრეამბულადან ამოღებულ იქნას სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 13 მაისის N5/28042 წერილი (რეგ: N06-01191333062-01) და შპს „საქართველოს ფოსტის" 2019 წლის 1 მაისის POST 19 00010197 განცხადება (რეგ: N06-01191333062-01), საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე–7 მუხლის მე–9 პუნქტის გათვალისწინებით;
- პროექტის პირველ მუხლში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების სათაური და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.72.14.034.711; ს/კ: 01.72.14.034.238; ს/კ: 01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ. მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის" (ს/კ: 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, პროექტი ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისში, სოდელ დიღომში, მიწის ნაკვეთების (ს/კ: 01.72.14.034.71, 2700 კვ.მ; ს/კ: 01.72.14.034.238 1488 კვ.მ.; ს/კ: 01.72.14.034.243 1427 კვ.მ.; ფართობი საერთო ჯამში - 5 615 კვ.მ.) ყოფილი ე.წ ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის" პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების საკრებულოსთან შეთანხმებას.

სააგენტოს უფროსმა კომისიის წევრებს შეახსენა, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის

განსაზღვრული ვალდებულება – ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, ასევე, გააცნო, პროექტთან დაკავშირებული ინტერესთა გამოხატვის დეტალები შემდეგი სახით:

- ქალაქ თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით, 2020 წლის 31 იანვრიდან 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ **ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 5615კვ.მ.)** მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა (მინიმალური ფართობი კ2=4.6-ის გათვალისწინებით - 2600 კვ.მ.) და განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ **(შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“);**
- ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში, **უპირატესი წინადადება - დაზარალებული პირებისათვის გადასაცემი ფართი 4 220 კვ.მ-ის ოდენობით -** წარმოდგენილი იყო შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“–ს მიერ, 2020 წლის 28 თებერვლის განაცხადით, რომელსაც სრულად ჰქონდა წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია **1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის** ოდენობით. შესაბამისად, აღნიშნული კომპანია გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად. ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად კი, სააგენტომ დაიწყო კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილებისათვის საჭირო პროცედურები;

ირაკლი თავართქილაძემ კომისიის წევრებს ასევე შეახსენა კოოპერატივის წევრების დაკმაყოფილებისას რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ, კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში უნდა იხელმძღვანელოს **ორი კრიტერიუმით, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ქულით (უპირატესობა ენიჭება ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე პირს) ან/და ტერიტორიულობის პრინციპით,** ამასთან, განკარგულების მე-3 პუნქტი ადგენს გამონაკლისსაც და განსაზღვრავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, დაზარალებულ პირთა რიგითობა განსაზღვროს ამ ორი კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშეც.

პროექტით მოცემულ შემთხვევაში, განკარგულების **დანართ N1-ში მითითებული კოოპერატივების წევრების სიის ფორმირება არსებითად განხორციელდა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული დაბალი სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით,** ამასთან ყურადღება გამახვილდა იმ პირებზე, რომელსაც ჰქონდა სრული დოკუმენტაცია წარმოდგენილი, ამასთან, კომუნიკაციის გზით დაადასტურებს სააგენტოს შეთავაზება უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო, მიწის ნაკვეთიდან თითოეული პირის მიერ მისაღები წილის ოდენობას, იგი დაანგარიშებულია მათ მიერ მისაღები საცხოვრებელი ფართების პროპორციულად, მოცემულ შემთხვევაში, ფართების ოდენობის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ კოოპერატივის წევრებზე სრულად განაწილებულიყო 4 220 კვ. მ. ფართი, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დოკუმენტაციაში გათვალისწინებული ფართის მინიმალური ოდენობით შემცირება - 0,5 – 2 კვ. მ-ის ფარგლებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოში წარდგენილ იქნა შესაბამის პირთა თანხმობა.

ირაკლიმ კომისიის წევრებს ასევე მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია დეტალურად:

- კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი სანოტარო აქტების საფუძველზე, განაცხადეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ მიწის ნაკვეთებიდან შესაბამისი წილი;
- მიწის ნაკვეთიდან სიმბოლური ოდენობის წილის - 1 კვ.მ ფართი გადაეცემა შპს„საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფს";
- განკარგულების დანართი N1-ის 46-ე პუნქტით გათვალისწინებული პირი, ელენე თავაძე, წარმოადგენდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებების ერთ-ერთი ადრესატს (უფლებამონაცვლეს), თუმცა, ვერ შეძლო, განკარგულებებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია, არსებული სასამართლო დავის გათვალისწინებით.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პირების დაკმაყოფილება სხვა უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის გზით. სასამართლოში დავის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დასრულების

შემთხვევაში კი, მუნიციპალიტეტი იმოქმედებს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის არსებული ფაქტობრივი მოცემულობის შესაბამისად.

- **ელენე თავაძემ** წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე, მან **უარი განაცხადა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებების საფუძველზე დადებული **ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე, ალტერნატიული უძრავი ქონების გადაცემის პირობით. კერძოდ, იგი თანახმაა მითითებული განკარგულებებით გადაცემულ ფართებზე უარის თქმის სანაცვლოდ, დაკმაყოფილდეს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (ს/კ: N01.72.14.034.238) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 1488 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილის მიღებით;**
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების დანართი N1-ის 46-ე პუნქტით განსაზღვრული პირის, ელენე თავაძის მიმართ ამ განკარგულების გამოცემა წარმოადგენს ქალაქ თბილისის მთავრობისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების, აღნიშნული პირის ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს, მისი გამოცემის დღიდან.

სააგენტოს უფროსმა შემაჯამებლად მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაცემის საკითხისა და მათთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად, შემდეგი საპრივატიზებო პირობების/საკითხების გათვალისწინებით:

- ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული კოოპერატივის წევრები, ამავე დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან შესაბამისი წილის მიღების სანაცვლოდ, უარს აცხადებენ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.
- ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ამ ხელშეკრულების დანართი N1-ის 46-ე პუნქტით გათვალისწინებული პირი - ელენე თავაძე, უარს აცხადებს მისთვის ქალაქ თბილისის მთავრობის და ქალაქ თბილისის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" განსაზღვრული ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებაზე და აცხადებს, რომ მის ძალადაკარგულად გამოცხადებასა და აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე მისთვის გადაცემულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არ აქვს და მომავალში არ წარმოეშობა რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება;

- ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ საკითხის შეთანხმების შემთხვევაში, მისი თანხმობის გაცემიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში, სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ უნდა უზრუნველყოფს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირებთან გაფორმებას, ამავე განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად;
- განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან ამ განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულება გააფორმონ არაუგვიანეს ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული რომელიმე პირის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმა ან მისი ხელმოწერის განსაზღვრული ვადის დარღვევა წარმოადგენს ამ პირ(ებ)ის მიმართ ამ განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველს, მისი გამოცემის დღიდან;

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტთან დაკავშირებული შენიშვნების შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის N20.1559.1909 განკარგულების მითითება და პროექტის პრეამბულას შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით მითითება და აღნიშნული პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა, ამასთან, პროექტის დანართ N1–სა და დანართი N2–ში, რიგით მე–14 პირის ამინათი გვიდიანის ნაწილში პირადი ნომრის სწორი ფორმით მითითება;

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვასილ აბულაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანას და დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებით, შევიდა ცვლილება და 2021 წლის პირველ იანვრამდე გადავადდა ჩანაწერის მოქმედება, რომელის თანახმადაც, „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელი აკმაყოფილებს პირობას, რომლის მიხედვით, მსუბუქ ავტომობილს-ტაქსს (M1 კატეგორია), რომლითაც ნებართვის მაძიებელს სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა, საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ.

ვასილ აბულაძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ახალი ვირუსის მართვის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები. საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 23 მაისს მიღებულ იქნა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ №322 დადგენილება, რომლის მიზანია ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენცია. **პანდემიის პირველ ეტაპზე, იკრძალებოდა ტაქსით M1 კატეგორია) მომსახურება, დღეის მდგომარეობით კი იკრძალება ტაქსით (M1 კატეგორია) გადაადგილებით მომსახურებისას 3-ზე მეტი პირის** (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება, ხოლო **მძღოლი აღჭურვილი უნდა იყოს პირბადით და მგზავრები უნდა განთავსდნენ მძღოლის უკანა მხარეს** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

მომხსენებლის მითითებით, დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა და 2022 წლის პირველ იანვრამდე გადავადება ჩანაწერის მოქმედებისა, რომელიც თანახმადაც, „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მაძიებელი აკმაყოფილებს პირობას, რომლის მიხედვით მსუბუქ ავტომობილს-ტაქსს (M1 კატეგორია), რომლითაც ნებართვის მაძიებელს სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა, საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ, აღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომელიც **შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან.**

მოხსენების მიწურულს ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ იქნება და ამასთან, მისი ამოქმედება არ

მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, დადგენილების პროექტი კი ამოქმედდება **გამოქვეყნებისთანავე.**

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი„„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანას და დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის18[1] მუხლის მე-6 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ნებართვის მფლობელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც უნდა დარეგულირდეს მომსახურების გაწევის წესი და პირობები, მათ შორის მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის ანაზღაურების ოდენობა და წესი. მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხა დაანგარიშდება აუდიტორული კომპანიის დასკვნის საფუძველზე“, **ხოლო 4[1] პუნქტის მიხედვით** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობა, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმებამდე, განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ პირობებს, მათ შორის, მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის (მძღოლის შრომის ანაზღაურება, საწვავის ხარჯი და ავტობუსის ექსპლუატაციის სხვა ხარჯები) ოდენობას და უნაზღაურებს ნებართვების მფლობელებს მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელ თანხას. ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსებზე მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული გადახდის საშუალებებით."

მომხსენებელმა ასევე განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის 18[1] მუხლისმე-6 პუნქტის მიხედვით „სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ნებართვის მფლობელი ვალდებულია საწვავის და სხვა საქონლის და მომსახურების შესყიდვა განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტ(ებ)ისაგან (თუ ასეთი საქონელი და მომსახურება წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების კონსოლიდირებული ტენდერის შესყიდვის ობიექტს).". კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით განსახორციელებელი შესყიდვა გარდამავალ პერიოდში დაცული რომ იყოს არსებულ ვითარებაში შესაძლო შეფერხებებისგან, რამაც შეიძლება სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და შესაბამისად მგზავრთა გადაყვანის შეფერხება გამოიწვიოს, შესაძლო პრობლემის ოპერატიულად მოსაგვარებლად მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული წესის 18[1] მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს წინადადება, რომლის მიხედვით, „აღნიშნულისგან განსხვავებული პირობები შეიძლება დადგინდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სამართლებრივი აქტით".

ვასილ აბულაძემ შემაჯამებლად მიუთითა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამასთან, მიუთითა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ იქნება და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ ჩივაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, შემდეგი წესების ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52–10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას:

- „დაავადებათ სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის", „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესის", „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის", ტრანსპლატაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის", „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის"ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესის", გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის.

მარიამ ჩივაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა თითოეული ქვეპროგრამის წესი, გააცნო წესებით განსაზღვრული საკითხები და პირობები, შემდეგი სახით:

- **„დაავადებათა სკრინინგის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი** განსაზღვრავს, ქალაქ თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „დაავადებათ სკრინინგი" განხორციელების წესებსა და პროცედურებს. აღნიშნული მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: „ძუძუს კიბოს სკრინინგი 40–70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25–60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს მართვა 50–70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50–70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისათვის, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი – 25–70 ასაკის ჩათვლით, განმახორციელების მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით, შესაბამისი რისკის მქონე ქალებში. **აღნიშნული წესი მოიცავს,** ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმებსა და მიმწოდებლის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს, ამასთან, ძუძუს, საშვილოსნოს ყელისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგის კომპონენტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი, ვალდებულია, ყოველთვიურად გასწიოს

ჯამურად არანაკლები 50 (ორმოცდაათი) მოსარგებლის მომსახურება, ხოლო ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურად გასწიოს არაუმეტეს 150 (ასორმოცდაათი) მოსარგებლის მომსახურება. **მოქმედი წესისაგან განსხვავებით,** პროექტით, პროსტატის კიბოს მართვის კომპონენტში დაზუსტდა სპეციფიკური ანტიგენის ე.წ. რუხი ზონის მაჩვენებელი და მიეთითა (4-10 ng/ml). ამასთან, მომსახურების განფასების ცხრილში პროსტატის კიბოს მართვა – სისხლში პროსტატის კიბოს სპეციფიკური ანტიგენის (PSA) გამოკვლევას დაემატა საჭიროების შემთხვევაში შრატში თავისუფალი (PSA–სა და მათი თანაფარდობის განსაზღვრა, ფასი დარჩა იგივე (9ლარი), ასევე, გასწორდა ტექნიკნიკური უზუსტობები.

- **„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“** განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)“ განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.
- **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**,რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი: 06 01 06)“ განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს, მიუხედავად ზემოაღნიშნული დიაგნოზისა. ასევე ის პირები, რომლებიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვამდე პერიოდში იყვნენ რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში, მაგრამ განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში–ბოლო 2 წლის) განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი;
- **„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ტრანსპლანტაცია“ (კოდი: 06 01 13) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამამოიცავს ძვლის ტვინის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიას, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციისწინა კვლევებს, ტრანსპლანტაციას (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლიოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვას და ღვიძის ტრანსპლანტაციის კომპონენტებს.
- **„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების

დაფინანსება (კოდი: 06 01 07)" განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ფორმის ან HER-2 დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში ან ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, მერიისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც განცხადებით მიმართვამდე არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში ან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

- **„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი"**განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემომ ომსახურება (კოდი: 06 01 08)" განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მულტისისტემური ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში, რომელიც ითვალისწინებს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირების უწყვეტ მეთვალყურეობასა და მკურნალობის პროცესს სპეციალიზებული მულტისისტემური ინტერვენციის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა.
- **„გაფანტულის კლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი"** განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების (კოდი: 06 01 05)" განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მაკდონალდის სადიაგნოზო კრიტერიუმების თანახმად, სადაც კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალით შეფასებული მდგომარეობა დიაგნოსტირებული არის 0-დან 6 ქულის ჩათვლით და ამასთან: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და, ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში, ან ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, მერიისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც განცხადებით მიმართვამდე არ ყოფილან

რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში ან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

- მოქმედი წესისაგან განსხვავებით მოსარგებლის სასარგებლოდ გაკეთდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ **თუ ქვეპროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირს მკურნალობის დასრულებამდე გაეზარდა სარეიტინგო ქულა, ცვლილების მიუხედავად, მკურნალობა დასრულდება იმ პირობებით, რომლითაც დაიწყო მომსახურება, ამასთან, გასწორდა ტექნიკური უსწორობა.**

მოხსენების მიწურულს, მარიამ ჩივაძემ მიუთითა, ამოღებული იქნა „C"ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი", ვინაიდან, აღნიშნულ პროგრამა მთლიანად გადაიბარა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ".

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ ჩივაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მარიამ ჩივაძემ კომისიის წევრება გააცნო, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის შესაბამისი პუნქტებით დასამტკიცებელი წესები და მოკლე რეზიუმეს სახით აღწერა თითოეული მათგანი:

- **დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა" პუნქტით მტკიცდება „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 25) განხორციელების წესი".** წესის წარმოდგენილ რედაქციაში დაკონკრეტებულია, როგორც ყოველი ახალშობილის შეძენის შემთხვევაში 500 (ხუთასი) ლარიანი დახმარების მიღების პროცედურა, ასევე მესამე, მეოთხე, მეხუთე და შემდეგი ახალშობილების შემთხვევაში შესაბამისი ფულადი დახმარების მიღებისათვის აუცილებელი პროცედურა.
- დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ბ" პუნქტით მტკიცდება **„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05)**

განხორციელების წესი“, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, დახმარების მოცულობა და ანგარიშგების პირობები. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი. ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით ერთჯერადად.

- **2020 წელს მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტით, პირები რომლებსაც 2020 წელს „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურე ბანკში პირად საბანკო ანგარიშზე დაერიცხათ ფულადი დახმარება და 2021 წლის 16 იანვრის მდგომარეობით არსებული ინფორმაციის მიხედვით აკმაყოფილებენ ამ წესით გათვალისწინებულ პირობებს, თანხას მიიღებენ იმავე საბანკო ანგარიშზე. ფულადი დახმარების მისაღებად ქვეპროგრამის განმახორციელებლისადმი განცხადებით მიმართვა სავალდებულო არ არის.** შესაბამისად, მომსახურე ბანკიდან ბენეფიციართა აქტიური ანგარიშების არსებობის შესახებ ინფორმაციის დასტურის მიღების შემდეგ, ქვეპროგრამის განმახორციელებელი ამზადებს ზემოაღნიშნული ბენეფიციარების რეესტრს, 2021 წლის 20 იანვრამდე.

- დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „გ“ პუნქტით მტკიცდება **„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი”**, ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. თბილისის რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000–ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებია ოჯახი. ყოველ 18 წლამდე ბავშვზე, ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „დ“ პუნქტით მტკიცდება **„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამების განხორციელების წესი”**, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამების მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ქვეპროგრამების მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქალაქ თბილისში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და ოჯახში ფიქსირდება 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი.

▪ სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება შეადგენს ჯამურად წელიწადში 800 (რვაასი) ლარს. ფულადი დახმარება გაიცემა ორ ნაწილად, მაისში და დეკემბერში, თითოეულ თვეში 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, ხოლო, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში - ჯამურადწელიწადში 900 (ცხრაასი) ლარი. ფულადი დახმარება გაიცემა სამ ნაწილად, მაისში, აგვისტოსა და დეკემბერში, თითოეულ თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

▪ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ე" პუნქტით მტკიცდება **„უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში" (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში" (კოდი: 06 02 06 02) ქვეპოგრამების განხორციელების წესი",** კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ქვეპროგრამების მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

▪ **2020 წელს მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტით დამატებულია გარდამავალი დებულება, რომლითაც დადგინდა, რომ განმახორციელებელს, ახალი კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშრებით, უფლება აქვს, ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მიიღოს ამ წესისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება. ამასთან, ქვეპროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია, 2020 წელს ავანსის სახით მიღებული თანხის მოცულობის შესაბამისად, ქვეპროგრამის მოსარგებლეებს გაუწიოს წესით გათვალისწინებული მომსახურება, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით.**

▪ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ვ" პუნქტით მტკიცდება **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი",** რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ვაუჩერის პირობები, ანაზღაურება და ანგარიშგების წესი. მომსახურების უწყვეტობის მიზნით, 2020 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2021 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

▪ **2020 წელს მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, წარმოდგენილი პროექტით დამატებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც განმახორციელებელს, ახალი კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშრებით, უფლება აქვს, ქვეპროგრამის შეუფერხებლად განხორციელების**

მიზნით, მიიღოს ამ წესისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება. ამასთან, ქვეპროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია, 2020 წელს ავანსის სახით მიღებული თანხის მოცულობის შესაბამისად, ქვეპროგრამის მოსარგებლეებს გაუწიოს წესით გათვალისწინებული მომსახურება, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით.

- დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ზ" პუნქტით მტკიცდება„ **შინ მოვლის თანადაფინანსების" (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი",** რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების წესი. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების პროცედურა. გათვალისწინებულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები, ბართელის კითხვარი და თანხმობის ბარათის ფორმა. ამასთან უწყვეტობის მიზნით, 2020 წელს მიმწოდებლად ან/და შემფასებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2021 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

მოხსენების დასკვნით ნაწილში, საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მიუთითა, პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, განისაზღვრა საქალაქო სამსახურის უფლებამოსილება, მიიღოს წესისაგან განხვავებული გადაწყვეტილება, საგამოკლისო წესით, ამასთან, დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2020 წლის 24იანვრის №52-9 დადგენილება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რა სახის შემთხვევების დროს შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საქალაქო სამსახურმა დადგენილების მოქმედი წესისაგან განსხვავებით, სამონაკლისო სახით, ამასთან, იკითხა, აუტიზმის დარღვევის სპექტრის მქონე ბავშვს აბილიტაციის ქვეპროგრამის წესის მომსახურებასთან დაკავშირებით, რა რაოდენობის მომლოდინე ბავშვები არიან და არსებობს თუ არა, საჭირო საბიუჯეტო რესურსი დაანგარიშებული იმისათვის, რომ მომლოდინეთა სია აღარ არსებობდეს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების საგამონაკლისო წესით მიღების შესაძლებლობა ემსახურება პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, ხელისშემშლელი გარემოებები აღმოფხვრას, ქვეპროგრამების ეფექტურად, შეუფერხებლად განხორციელებას. მომხსენებელმა კომისიის თავმჯდომარეს აცნობა, რომ საბიუჯეტო საჭირო რესურსთან დაკავშირებით ინფორმაცია დაზუსტებით მიეწოდება კომისიას, სამომავლოდ.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნაზე და მიუთითა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის პრეამბულაში ნაცვლად „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ნაცვლად უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ემუხლის „ა“ პუნქტი.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ცირა შალოშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც ცირა შალოშვილმა განმარტა, საკრებულოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წელს ქალაქ თბილისმა მოიპოვა „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი“ და გაფორმდა მემორანდუმი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და UNESCO-ს შორის. მემორანდუმის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამოქმედო პროგრამა 12 თვის განმავლობაში, **2021 წლის 23 აპრილიდან 2022 წლის 22 აპრილამდე.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ვალდებულია ზედმიწევნით განახორციელოს პროექტების ჩამონათვალი, რაც საკონკურსო აპლიკაციად წარადგინა და რომელიც, მიზნად ისახავს წიგნის, ლიტერატურის, კითხვის პოპულარიზაციას. World Book Capital (წიგნის მსოფლიო დედაქალაქი) ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც 2002 წელს, UNESCO-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით დაარსდა. იგი მიზნად ისახავს, წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას, თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკების, გამომცემლების ხელშეწყობას.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა შეიქმნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი", რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება პროექტის „თბილისი - UNESCO-ს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021" განსახორციელებლად, არაერთი ღონისძიების დაგეგმვა და გამართვა. კერძოდ, მთავრობის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილი წესდების მიხედვით „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" მიზნებია:

- 2021-22 წლებში თბილისის, როგორც UNESCO-ს მიერ ხელდასმული წიგნის დედაქალაქი პროექტის ფარგლებში, წერა-კითხვისა და წიგნიერების ხელშემწყობი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების განხორციელება;
- დედაქალაქის მასშტაბით მწერლობის პოპულარიზაციისა და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობა;
- წიგნის კითხვისა წიგნიერების განვითარება და პოპულარიზაცია;
- ქართული მწერლობისა და დამწერლობის წარმოჩენა და პოპულარიზაცია, როგორც ლოკალური, აგრეთვე, საერთაშორისო მასშტაბით;
- ქართველი ავტორების გამომცემლების, მთარგმნელებისა და რედაქტორების ხელშეწყობა;
- კითხვის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა მასობრივი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო პროექტებში - წიგნის ბაზრობებსა და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე თანამედროვე ქართველი ავტორებისა და ქართული დამწერლობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობის დამყარება, გაცვლითი პროექტების განხორციელება, როგორც ქართული დამწერლობის, ასევე, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ხელშეწყობისთვის;

- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

მოხსენების მიწურულს, ცირა შალოშვილმა ასევე მიუთითა, რომ წარმოდგენილი წესდებით ასევე განისაზღვრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსი, მისი მოვალეობები, მისი დამფუძნებლის უფლებამოსილებები, სტრუქტურა,

ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, ქონება, წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა ნინო რუხაძემ კითხვებით მიმართა მომხსენებელს, თუ რომელი ავტორების მოწვევა იგეგმება უახლოეს პერიოდში, რა სახის ლიტერატურასთან დაკავშირებით იგეგმება პროექტები და ასევე, არის თუ არა იუნესკო ძირითადი დამფინანსებელი ორგანიზაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დაგეგმილია მსოფლიო დონის ისეთი ცნობილი ავტორების მოწვევა, როგორიაა ჯოან როულინგის, მიუხედვად, პანდემიური ვითარებისა, არსებობს მოლოდინი, რომ მოლაპარაკებების თანხმობისა და შესრულების ფასაში გადავა, განხორციელდება შესაბამისი ვიზიტები საქართველოში, რაც ჩვენი ქვეყნის ცნობადობას გაზრდის, ამასთან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადად პროექტები დაგეგმილია მხატვრული ლიტერატურის ნაწილში, ასევე იგეგმება, ილია ჭავჭავაძის დროინდელი სასტამბო დანადგარების აღდგენა, ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ბაზაზე, განახლდება ისეთი ლიტერატურა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ღირებულების მატარებელია, დედაქალაქისათვის განახლდება საბავშვო ბიბლიოთეკის სივრცე.

ამასთან მომხსენებელმა დაამატა, რომ იუნესკო უზრუნველყოფს, საფრანგეთში ქართველი მწერლებისა და ლიტერატურული ფრაზების აფიშირებას შესაბამის ობიექტებზე და ამით მათი ცნობადობის გაზრდას.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე კითხვით მიმართა მომხსენებელს, პროექტის ბიუჯეტის სავარაუდო ოდენობისა და ლიკვიდირების შესახებ საკითხებზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით, მოძიებულია საბიუჯეტო რესურსი, გარკვეული ოდენობით, ამასთან, განსაზღვრულია სავარადოდ 4 (ოთხი) მილიონამდე საბიუჯეტო რესურსის მოძიება, მიმდინარეობს მოლაპარაკებების მსხვილ ბიზნეს წარმომადგენლებთან, რომლებმაც ინიციატივა წარმოადგინეს ვიზიტორთა მასპინძლობის ღონისძიებების დაფინანსებისა, რაც მნიშვნელოვანი შეღავათია.

ასევე მომხსენებელმა მიუთითა, რომ მომავალი წლის 23 აპრილამდე განსაზღვრულია ვადა, გარკვეული სამოქმედო გეგმის იუნესკოსათვის წარდგენისა, ხოლო, 2022 წლის 22 დეკემბრაათვის ლიკვიდაციის პროცესურების დაწყებისა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**